

„ქართული ოცნება“ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიმართავს ობიექტურად შეაფასონ მომხდარი დარღვევები



ალიონი. „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიმართავს, მოახდინონ რეაგირება და ობიექტურად შეაფასონ საარჩევნო კამპანიის პერიოდში მომხდარი დარღვევები, მოახდინონ კანონის მართებულად ინტერ-

პრეტაცია. ამის შესახებ საარჩევნო შტაბის ოფისში გამართულ ბრიფინგზე **გიორგი ლურჯაშვილი** განაცხადა. „8 სექტემბერს დასრულდა სასამართლო პროცესი, სადაც განიხილებოდა „საერთაშორისო გამჭვირვა-

ლობა-საქართველოს“ საჩივარი. ორგანიზაცია სადავოდ ხდოდა ჩვენ მიერ ჩატარებულ თემატურ შეხვედრას, რომლის ფარგლებშიც საზოგადოებას ჩვენი საარჩევნო პროგრამის ჯანდაცვის ნაწილი და პრიორიტეტები წარვუდგინეთ. შეხვედრას დაინტერესებული მოქალაქეები, კერძო სექტორიდან ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები ესწრებოდნენ.

სასამართლომ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებაზე საჩივრის ავტორს უთხრა უარი. მიიღო კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შეხვედრა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ჩატარდა და ადგილი არ ჰქონია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.

შეხვედრა მართლაც გახ-



უზასო პოლიტიკური რეკლამა

პარტიამ „საქართველოსთვის“, ოზურგეთში, გუნდის წევრები ოფიციალურად წარადგინა



ალიონი. ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარაძის, პარტიამ „საქართველოსთვის“, ოზურგეთში, პროპორციული სიის პირველი ათეული და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა. წარადგენა სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში შედგა.

სცენაზე პირველი პარტი-

ის პოლიტსაბჭოს წარმომადგენელი, **გიორგი შარაშიძე** ავიდა. მან საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა პარტიის და მისი ლიდერის მთავარი პრინციპი: „ვერტიანდებით საქართველოსთვის, მაგრამ არავის წინააღმდეგ“. მისი თქმით „საქართველოსთვის“ არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელ-

საც გააჩნია თანმიმდევრულად მზარდი რეიტინგი. შემდეგ, მხარდამჭერებს, პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და თბილისის საკრებულოს პარტიული სიის ნომერმა პირველმა, **ლევან დოლიძემ** მიმართა, მანვე წარადგინა პოლიტიკური გუნდი,



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამოშვება. № 30 (10400) 13 სექტემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

მუთოს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში



პარასკევს, გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანების უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო ინსტიტუტის გრძელვადიანი დამკვირვებლები (ODIHR) იოსებ ლეჟიატიერი და სტელა ჰელიერი იმყოფებოდნენ. საუბრის თემა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო პროცესების გამჭვირვა და მუდის ჩართულობა იყო. იესეფ ლეჟიატიერმა აღნიშნა, დამკვირვებლების ძირითადი გუნდის 12 ექსპერტი და 30 გრძელვადიანი დამკვირვებელი

უკვე მუშაობს საქართველოს რეგიონებში. ისინი თვალყურს მადევნებენ საარჩევნო პროცესების ფუნდამენტურ ასპექტებს, ასევე კომპანიის გაშუქებას მუდის. ჟურნალისტებმა სტუმრებს გააცნეს რედაქციის ჩართულობა საარჩევნო პროცესში და ამასთანავე მათი კრიტიკული პოზიცია რედაქციის მიერ ინფორმაციების მიწოდებასთან დაკავშირებით. როგორც ქალბატონმა სტელა ჰელიერმა თქვა, ეუთოს გრძელვადიანი დამკვირვებლები კვლავ მივლენ გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში და მათ ადგილობრივ ჟურნალისტებთან აქტიური თანამშრომლობა ექნებათ.

„ჩაის კულტურა უნდა დარჩეს გურიის სავიზიტო ბარათად“ ბიზნესმენ ნაკაიძეების პროვინული საქმე

დავით თენიფშვილი – ცნობილი ბიოფერმერი და ბიზნესმენი. იგი ერთ-ერთია გურიაში, რომელიც ჩაის კულტურის აღორძინებას გეგმავს და ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯებიც აქვს გადადგმული. მისი ინიციატივით, დაბა ნარუჯასა და დაბა ლაითურში 100 ჰექტარი ჩაის ფართობის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო. მან გაზეთ „ალიონთან“ ჩაის კულტურის აღდგენის აუცილებლობაზე და ამ საქმეში ხელშემშლელ პირობებზე ისაუბრა.

– **დავით, მოდი, ვერ თქვენი ცხოვრებისეული ბიოგრაფიით დავიწყით...**
 – პროფესიით მძიმე მანქანათმშენებელი ვარ. 1992-1993 წლებში ვმუშაობდი ფირმა „ბანმაროში“, რომელიც ჩაის ანარჩენებიდან პოპულარულ სასმელს „ბანმაროს“ ამზადებდა, შემდეგ მემამულეთა კავშირის კონსულტანტი ვიყავი; დავინტერესდები მიკრო პესებით და ბიო გაზით. 1997-1998 წლებში მსოფლიო ბანკის პროექტით დავიწყე ჩემი ჩანაფიქრების რეალიზაცია; ვიყავი „ჩხავერის“ მუერნობის მენეჯერი. 2008 წელს იმჟამინდელმა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გიორგი არველავამ მრჩეველად დამინიშნა,

შემდეგ – არატრადიციული ენერგეტიკის ხელშეწყობისა და განვითარების სამმართველოში; 2 წელი ამ სამმართველოში ვიმუშავე განახლებადი ენერჯის თემაზე, თუმცა ვხედავდი, ჩემი იდეები ქალაქის დონეზე რჩებოდა და მშობლიურ ბაზეში დაბრუნება გადავწყვიტე... 2013-17 წლებში ვიყავი ოზურგეთის საკრებულოს წევრი.
 – **როგორ განავითარეთ ჩაის წარმოება, რა იყო თქვენი ძირითადი ინტერესი...**
 – 90-იან წლებში, როცა ჩაის ფაბრიკები ნადგურდებოდა, გადავწყვიტე ჩაის წარმოება დამეწყო. ჩემი პროფესია გამომადგა. ხის საგრები როლერი დავამზადე და პატარა მდინარეზე ჩემს მიერ აგებული



მცირე პესის საშუალებით ავამუშავე. ჩაის ფოთოლს ძირითადად ჩემს ფართობში ვკრეფდი, ასევე მიტოვებულ ფართობებში. ეს მხოლოდ

მცირე წარმოება იყო და უნდა გამეყო ზღვარი მოქმედებასა და უმოქმედობას შორის.



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთიერი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის სიზუსტეზე არ ახდენს კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარმანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე
«ალიონით»

„ქართული ოცნება“ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიმართავს ობიექტურად შეაფასონ მომხდარი დარღვევები

ლღათ თემის ვარშემო ორგანიზებული და დამსწრეთა მობილიზება სამსახურებრივი ნიშნით ან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით არ მომხდარა.

ცხადია, ეს საჩივარი ვახლდათ მიკერძიებული. ამაში უფრო მეტად ვრწმუნდებით, როცა ოზურგეთში, ამავე პერიოდში, ჩვენი კონკურენტების მხრიდან სახეზეა სავარაუდო მოსყიდვის ნიშნები, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების არაერთი ფაქტი, როდესაც მოქალაქეებს დახმარება წინასწარ ჩვენოდ ეძლევათ შერჩევითად. კონკურენტის საარჩევნო მასალები განთავსებულია სახელმწიფო რე-

სურსებზე და მედიის მხრიდან გაშუქდა ზეწოლის და მერიის თანამშრომლებზე ზემოქმედების არაერთი ფაქტი, რაზეც საერთაშორისო გამჭვირვალობას, ან სხვა ორგანიზაციებს რეაგირება არ მოუხდენიათ.

მიემართავთ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რეაგირება მოახდინონ ამ შემთხვევებზე და ობიექტურად შეაფასონ საარჩევნო კამპანიის პერიოდში მომხდარი დარღვევები, მოახდინონ კანონის მართლმართლად ინტერპრეტაცია“, თქვა ბრიფინგზე გიორგი ლურჯუშელ-იძემ.

პარტიამ „საქართველოსთვის“, ოზურგეთში, გუნდის წევრები ოფიციალურად წარადგინა

რომელიც ასე გამოიყურება:

- პროპორციული სია: 1. პეტრე სალუქვაძე 2. ალექო ბურჭულაძე 3. სოფიკო ქარცივაძე 4. ირაკლი ჩხაიძე 5. კახა გაგუა 6. მაკა ჩხაიძე 7. რევაზ კობალაძე 8. შოთა კოჩალიძე 9. ნინო ღლონტი 10. რუსუდან მემარნიშვილი.

მაჟორიტარები: გიორგი სირაძე-ზვანი, ვლადიმერ სალუქვაძე-სერი, კახაბერ გობრონიძე -ლიხაური-მაკვანეთი-ჭანიეთი, რესან გაბაიძე -ლაითური-ნარუჯა, ბესიკ ირემაძე -ნასაკირალი, ალექსანდრე ზომერიკი-ნატანები, ომარ ფუტკარაძე -ურეკი-შრომა, მაია ზოიძე -გურიანთა-სოფ. ოზურგეთი-მელექედური, დავით ხინიკაძე -ასკანანავომარი-ძიმიტი, ვლადიმერ გვილაგა-ბაილეთი-სილაური-ჯუმათი, კოკა ჯახუტაშვილი-ბახვი-დვავბუ, ნაზი თოდრაძე-ბოხვაური-შემოქმედი-დაბა გომისმთა, დავით მენაბდე-ვაკიჯვარი-მთისპირი-ცხემლისხიდი, ვეფხვია ბათიროვი-თხინვალი-კონჭკათი-მერია.

შეხვედრის ბოლოს მხარდამჭერებს გაა ცეცხლაძემ მიმართა: „დღეს, აქ, ჩემ მშობლიურ სოფელში, გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, საკუთარ ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, საქართველოს მეჭურჭლეუთხუცესის და ღვთისკაცად წოდებული, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმიდან მინდა მოგმართოთ, ჩემო ოზურგეთელებო! მოგმართავთ ასე, რადგან აქ დავიბადე და გავიზარდე, აქა ჩემი წინაპრების სული, აქა ჩემი სატკივარი და საზრუნავი, აქ ყოველი კუთხე ჩემთვის ნაცნობი და ახლობელია. კარგად მაქვს გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რაც ჩემს გადაწყვეტილებას ახლავს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა თქვენგან დამოუკიდებელი ვერ ვიქნები. დღეს ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. თქვენ-თქვენი თანადგომითა და ნდობით,

მე-ჩემი მოწოდებითა და შემართებით. რას ვპირდებით? მოდით ასე ვიტყვი, ვპირდებით ჩემ გუნდთან ერთად ვიზრუნებ იმისთვის, რომ ზვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იყოს, ყველას მოგისმინოთ, მაქსიმალურად გავიზიარო თითოეულის სატკივარი, დროულად გავრძნობინოთ, რომ თქვენზე ვზრუნავ, რომ თქვენი შვილების მომავალი გულისხმიერი და ერთგული ადამიანების ხელშია, რომ ჩვენი მოქალაქეები არ იფიქრებენ სხვა, უფრო კარგ ქვეყანაში სამუშაოს საძებნელად წასვლაზე და აქაც ისეთ გასამრჯელოს მიიღებენ, რომ შვილების სწავლა-განათლებას უზრუნველყვონ, ოჯახები შეინახონ, რომ ჩვენ ხანდაზმულებს არ ემინოდეთ სიბერის და ავად გახდომის. ამისთვის კი საჭიროა ბიუჯეტის თითოეული თეთრი ადამიანების კეთილდღეობას მოხმარდეს. ახალი პროექტები მუდმივად განახლებისა და სწორად შენების, კონკრეტული პრობლემების გადაჭრის იდეებით უნდა იყოს ნაკარნახევი. ყოველი დღე შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და ყველაფერი ხალხთან ერთად, მათი პრობლემებისა და უნარების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. დიას, ჩვენ ვართ ძლიერები, ჩვენ გვაქვს ხედვა, გვაქვს იდეა, ჩვენ არ ვნადირობთ, არ მოვისყიდით, არ ვტაციაობთ ამომრჩეველზე. ჩვენ ორიენტირებული ვართ ჩვენსავით ხედვით, იდეებით, ცვლილებებით მოტივირებულ ამომრჩეველზე. საბედნიეროდ, ასეთი ამომრჩეველი დღეს ბევრია. მათ კი ფულით, შანტაჟით, მუქარით ვერ მოიზიდავ. დიას, ჩვენ ერთად უნდა გავიმარჯვოთ ჩვენი წარმატებული მომავლისთვის, ოზურგეთისთვის, საქართველოსთვის“, -თქვა ცეცხლაძემ.

უზასო პოლიტიკური რეკლამა სახალხო პარტია ოპოზიციური პარტიების არჩევნებისთვის ოზურგეთში პარტიული სიის პირველი ათეული გაგვაცნო



ალიონი. განახლებული სახალხო პარტიის ოზურგეთის რაიონულმა ორგანიზაციამ გასულ სამშაბათს გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტებს წარუდგინა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დარეგისტრირებული სახალხო პარტიის პარტიული სიის პირველი ათეული ოზურგეთში, რომელიც ასე გამოიყურება: **შოთა გოგბერიძე, გიორგი ზავთასი, თეო გვინიძე, გიორგი კობალაძე; გიორგი აბულაძე; თამარ ვასრამოვი; დათო კოტირაძე; შოთა აბაშაძე; ნინო გაფრინდაშვილი; ზუკა ურუშაძე.**

პარტიის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის შოთა გოგბერიძის თქმით, ასეთი ახალგაზრდული, ენერგიული, ამბიციური გუნდი არც ერთ პარტიას არ აქვს. მისი თქმით, ამას არაოფიციალურად სხვა პარტიებიც აღიარებენ. როგორც გოგბერიძემ აღნიშნა, ამ ახალგაზრდული გუნდის მთავარი ამოცანაა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მრავალპარტიულობის დანერგვა და თვითმმართველობის საქმიანობაში ხალხის რეალური ჩარეულობის უზრუნველყოფა. „განახლებული სახალხო პარტია, ბატონების მამუკა გიორგაძისა და

სოსო გოგაშვილის ხელმძღვანელობით, საფუძველს ჩაუყარს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში სამი ძირითადი ღირებულების სათანადო ადგილზე დაბრუნებას: - კონსტიტუციის შესაბამისად, კლანური დაჯგუფებებიდან, მონოპოლიებიდან და ოლიგოპოლიებიდან ძალაუფლება დაუბრუნდეს ქართველ ხალხს! - პოლიტიკური სივრცეიდან ბიზნესი და მილიონერი ბიზნესმენები დაუბრუნდნენ ბიზნესს და იმუშაონ ხალხის დასაქმებაზე! - საქართველოს მართლმსაჯულებას დაუბრუნდეს სამართალი - გატარდეს ძირეული რეფორმები. რაც შეეხება ჩვენს კონომიკურ და სოციალურ პროგრამებს, ეტაპობრივად გავაცნობთ საზოგადოებას“, - განაცხადა ბრიფინგზე შოთა გოგბერიძემ. ბრიფინგზე განცხადება გააკეთა ოზურგეთელითათვის კარგად ცნობილმა პოლიტიკურმა აქტივისტმა მინდია კეჭყაყაძემ, რომელმაც საზოგადოებას მოუწოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მხარი დაუჭირონ სახალხო პარტიას და ამ პარტიის მიერ წარმოდგენილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებს.

იუნიზაციის ახალი ცენტრი ოზურგეთში



ქალაქ ოზურგეთში ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერითა და გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ხელშეწყობით სამედიცინო დაწესებულების „მდ ჯგუფის“ ბაზაზე იუნიზაციის ახალი ცენტრი გაიხსნა. ახალი იუნიზაციის ცენტრი გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან ერთად დაათვალიერა და ვაქცინაციის პროცესს გაეცნო. იუნიზაციის ცენტრში, აცრა შესაძლებელია როგორც რეგისტრაციით, ასევე რეგისტრაციის გარეშე.

გურიის რეგიონში ჯამში შედი იუნიზაციის ცენტრი ფუნქციონირებს ვაქცინაციის პროცესი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავტორიზებული ვაქცინებით შეუფერხებლად მიმდინარეობს ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის „მედიკალფას“ კლინიკებში. ლანჩხუთში „რეგინული ჯანდაცვის ცენტრში“, ჩოხატაურში კლინიკაში „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეკვეთილში ემერჯენსის შენობაში - სამედიცინო ცენტრ „დოსტაქარში“ და ქალაქ ოზურგეთში მამედიცინო ცენტრ „მდ ჯგუფის“ ბაზაზე ახლად გახსნილ იუნიზაციის ცენტრში.

ღია წერილი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიებს

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ბოლო დროს ბეჭდვით მედიას არ წყალობთ, მეტიც, მთლიანად იგნორს უკეთებთ და აქცენტი თითქოს ელექტრონულ მედიასაშუალებებზე გადააქვთ, სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარ პიარსამსახურებს ეფოფინებით. არა-და, არც ისე შორეულ წარსულს თუ გადავხედავთ, თითქმის ყველამ ბეჭდვით მედიაში აიღვით ფეხი. ბრიფინგებზე, იცოცხლეთ, გვეხანოთ, პრესრელიზების გადმოგზავნაც არ გავიწყდებოდა, უფასო რეკლამებსაც გვიგზავნიდით უხვად, მაგრამ ფასიანზე რომ მიდგება საქმე, ძუძუს გოჭებივით გაიტრუნებით. გაზეთში რეკლამის განთავსებას გირჩევენათ ბოძებზე, ხეებსა და ღობეებზე გამოაკრათ თქვენი კანდიდატების პორტრეტები, რომელთაც გა-

მოქვეყნებიდან ცოტა ხანში ხან თვალები აქვთ ამოჩიქნილი, ხან კიდევ ცხვირი – ახეული. მოწყალეების გაღებას არ გთხოვთ, სამაგისო არაფერი გვჭირს, მაგრამ მოიქეცით ისე, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში ცივილიზებული პარტიები და ადამიანები იქცევიან. რა გჭირთ, რამ გაგაძუნწათ, ასე რამ გაგაწუწურაქათ გასამარჯვებელიცა და დასამარცხებელიც?! მაინცა და მაინც თქვენი მედულუკები უნდა ვიყოთ, რომ მცირედენი დაფინანსება მივიღოთ?! გვერწმუნეთ ბეჭდვითი მედია არ მომკვდარა და არც მოკვდება, არჩენებამდეც ამბობს და არჩევნების შემდეგაც დიდხანს იტყვის თავის სათქმელს, მათ შორის თქვენთვის საკადრისაც. შეხვედრამდე!

კლასმასით გარემოს დაბინძურებას მართლ დაექვემდებარება ვერ უშველის



ალიონი. პლასმასის ნარჩენები არც ბარს აკლია და არც მთას. დახლოებით 10 წლის წინ ქ. ოზურგეთში გამავალ მდინარე სკუჩაზე (იქ, სადაც მდინარე ბუქს უერთდება) რკინის დამჭერი ბაღეების მოაწყვეს დასუფთავების სამსახური ხშირად წმენდა ამ ადგილს და მდინარე ბუქსში, შემდეგ კი ნატანებში პლასმასის ნარჩენებს საგრძობლად იკლავ, მაგრამ მერიის ნაგავსაყრელზე მოიყარა თავი ამ ბოთლებმა. ოზურგეთის „სერვისცენტრმა“ მდინარე ნატანების შესართავთან მოაწყო პლასმასის ბოთლების და სხვა ნარჩენების დამჭერები, მათი თანამშრომლები შემდეგ

ნავით შედიოდნენ მდინარეში და მორგებული ნარჩენები კვლავ მერიის ნაგავსაყრელზე გადასქინდათ. როცა რევიონის მთავარი მდინარეები (სუფსა, ნატანები, ჩოლოქი) დიდდება, დამჭერები ვერ შევლის მოზღვავებულ სხვადასხვა სახის ნარჩენს და ზღვის სანაპირო სხვადასხვა ნარჩენების ტყვეობაშია. წელს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანის“ გურიის შვილი სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და მართვის სამსახური შეიქმნა, რომელსაც მუნიციპალური ქონებიდანაც გადაეცა სათანადო ტექნიკა. ერთი თვეა ოზურგეთის ქუჩებში სიხლუა. ოზურგეთის „სერვისცენტრმა“ პლასმასის ბოთლების შესაგროვებლად სპეციალური კონტეინერები დადგა. –წელს აპრილის საუბრით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პლასმასის ბოთლების კონტეინერების მომსახურების მხნით სპეციალური ტექნიკა გადასცა. პლასმასის ბოთლების შესაგროვებლად წინასწარ შესწავლილ 8 ლოკაციაზე განთავსეთ პლასმასის კონტეინერები. კერძოვრებით პლასმასის სფეროში გადაამუშავებელი კომპანიები თავს

იკავებენ ჩვენგან შერეობული პლასმასის ბოთლების წაღებისაგან, რადგან ისინი მეტ ოდენობას ითხოვენ, მაგრამ საქმე დაიძრა და ასეთი კომპანია გამოიწვია. კერძოვრებით არ გვაქვს სპეციალური საბრუნო დანადგარი, რომელიც ამ მორგებულ პლასმასის ბოთლებს დაბრუნებს და „ბრიკეტებად“ აქცევს. ეს საშუალებს მოგვეცემა, ნაკლებ ფართზე მეტი მორგადი პლასმასი დავგვასწოებინა-გეთხრა ოზურგეთის „სერვისცენტრის“ უფროსმა თენგიზ ქუტიბე. გაზეთ „ალიონის“ ჰქონდა ინფორმაცია, რომ დახლოებით 15-მდე პლასმასის ბოთლების შემკრები კონტეინერები დააურევში, გრივლელოში და შეგვილოში განთავსდა, მაგრამ ეს არ დაგვიდასტურა მყარი ნარჩენების მართვის კომპანის ახლადშექმნილი სამსახურის უფროსმა კახა კობულაძემ. – ასეთი კონტეინერები ამ ეტაპზე ჩვენ არ გვაქვს. ჩვენ, გარდა სუფსისა და ნატანებისა, სხვა მცირე მდინარეებზეც (სუფა, ურეის არხი) მოაწყვეთ სპეციალური დამჭერები და პლასმასის ნარჩენები ზღვაზე ვერ აღწევს. მას ვაგროვებთ და მერიის ნაგავსაყრელზე მივავსებთ. – ვეთხრა კობულაძემ.

„ჩაის კულტურა უნდა დარჩეს გურიის სავიწიტო ბარათად“

ბიზნესმენ ნაკაიძეების პროპონირებული საქმე



ბანკისაგან ავიღე 28%-იანი სესხი და .7 ჰექტარი ჩემი და ჩემი მეზობლების ფართობების ადღენა გადაწყვიტე. რაც მთავარია, მე 21 წელია ბიოფერმერი ვარ, „ელკანას“ პირველი წვერი რევიონში, მას შემდეგ არ მიღალატია ამ იდეისთვის და დღესაც ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციას ვაწარმოებ. მცირე ბიზნესმენები თბილისიდან რომ ჩამოდიოდნენ და უკან ვერ ბრუნდებოდნენ, ღამეს ათეოდნენ ჩემთან. მე ვჩუქნიდი მათ ჩემ მიერ დამზადებულ ჩაის. შემდეგ ისინი მიკვთავდნენ. 1995-1996 წლებში 1 კილოგრამ ჩაის პროდუქციას 7 ლარად ვყიდდი. – რა განაპირობებს ჩაის კულტურის სხვა კულტურებზე უპირატესობას? – მე ჩაის ძველი ინდური მეთოდით ვამზადებდი. ჩინეთში ყოფნი-სას ვნახე უძველესი ჩაის საგრუნები. მაღალი ხარისხის ჩაი რომ გავსინჯე, ის ებოცა დღესაც მას-სოფსამაზინ ვოქეი – ჩაის კულტურა არ უნდა ბადაშმენ-ბულიში. იგი უნდა დარჩენილი გურიის სავიწიტო ბარათად. განსაკუთრებით იმან გამომყარა ჩაიზე წარმოედგა, რომ ეს კულტურა წლის მანძილზე რამდენჯერმე ვაძლევს მოსავალს. ხელით კრეფის დროს, როცა კვირტი არის იმ მდგომარეობაში, რომ კვლავ წარმოქმნას ახალი ფოთოლი, ჩაის ვეგეტაცია 10-12-ჯერ არის შესაძლებელი.

გზის“ არსებობაც. ამ თემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროს ალექს მამუშვილთან, კიდევ რამდენიმე პირთან ერთად შევიმუშავეთ და ტურიზმის დეპარტამენტს წარვუდგინეთ ეს ინიციატივა, რაზედაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელშეწყობის გარანტია გვქონდა. ეს ინიციატივა იქნა ხორცშენიშნული, გარკვეული კრიტერიუმების საშუალებით შეირჩა ლოკაციები. – რას ითვალისწინებდა ეს კრიტერიუმები? – აუცილებელი იყო, ჩაის გადამამუშავებელ საწარმოსთან ყოფილიყო ჩაის პლანტაცია, საწარმოს უნდა ჰქონოდა სადღესასწაულო სივრცე. მინიმუმ უნდა დამზადებინა 2 სახეობის ჩაის (შავი და მწვანე) პროდუქცია. პირველი „ჩაის ფესტივალი“ 2018 წელს გაიმართა, მორე – წელს, რამაც სპეციალისტების ტურისტების მოწონება დაიმსახურა. ვფიქრობ, „ჩაის ფესტივალი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღონისძიება იქნება რევიონში. – თქვენ საუბრის დასაწყისში ჩინეთი ანსწერეთ. რით განსხვავდება იქაური ჩაის წარმოება ქართულსაგან. – ჩინეთი ჩაის სამშობლოა. შარშან ჩინეთის საელონის შემოთ-ავაზებით, ჩინეთის საგაგრო პალატის დაფინანსებით 6 ქართული მეწარმე 2 თვით ვიმყოფებოდით ამ ქვეყანაში, კერძოდ, ფუძანის პროვინციაში, ქ. სიამინში. ჩაის ტექნოლოგიურ კო-ლეჯში გვექონდა შესვლა-სემინარები. ამ კოლეჯში 20 ათასი სტუდენტი სწავლობს. ჩინეთში ჩაის პლანტაციების პრობლემა სხვადასხვა დაავადებებია, 20-დან 30-მდე მარტო პარაზიტი ვნახეთ ჩაის პლანტაციებში, ამიტომ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას: მორწყვას, შეწამვლას და მუდმივ გამსხვლას, რომ ჰაერითა და ჰუმიდეს ჩაის ბუჩქს. კარგი გამოცდილება შევიძინე. ერთად ვსწავლობდით კენიის, შრი-ლანკას და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. იყო გამოცდილებები ვაზარებებში, ჩაის დღესასწაულები. ჩინეთიდან უფრო ამაყი დაბრუნდი ქართულ ჩაისთან დამოკ-

ლებულებაში. თურმე როგორ ღაღად გრძობს ჩაის ბუჩქი თავს ჩვენს ქვეყანაში და რამდენად სუფთა ნედლეულის მიღება შეგვიძლია და შემდეგ – მაღალი ხარისხის პროდუქცია. – ახლა რა ეტაპზე თქვენი ჩაის წარმოება? – წლების მანძილზე ჩაისთან ერთად გამოძგავდა ნერგები, მქონდა სათბური, სადაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას ვაწარმოებდი. წლიურად 15-20 ათასი კივის ნერგი გამოძგავდა... ახლა ჩემი წარმოების გაფართოებაში ჩემი ვაჟი ჩართო. მან „წარმოე საქართველოს“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „ახალგაზრდა მეწარმეთა ხელშეწყობა სოფლად“ პროექტი მოვიღო, რომელიც წარმოების შენობის აგების თანადაფინანსებას ითვალისწინებდა. მათ პროექტის დღებულების 45 პროცენტი დავიფინანსე. ავადეთ 2-სართულიანი შენობა, რომლის საერთო ფართობი 400 კვადრატული მეტრია. შემდეგ, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, გაკეთდა 960 მეტრი ასფალტირებული გზა წარმოებად. ნაწილობრივ შექმნილი გვაქვს ასალი დანადგარები, ჩემი იდეაა, ჩაის წარმოება არ იყოს სეზონური და ადამიანები წლის განმავლობაში დასაქმდნენ – ჩაის სეზონის დასრულების შემდეგ უნდა დაიწყოს ხილის შრომა-წარმოება. ამის პოტენციალი რევიონში არის: ციტრუსი, კვი, სურმა, კარალიოკი, რაც მარტამდე გასტანს... – როგორც ვაფიქრო, თქვენ 100 ჰექტარი ჩაის პლანტაციის ადღენა-რეაბილიტაციას გეგმავთ ნარევა-ლაითურში. – წარმოშობით სოფელ ქვედა ბახველები არიან ამერიკაში მცხოვრები ბიზნესმენები, მძები ვნო და სერგო ნაკაიძეები. მათ სოფელში წმინდა მარინეს სახელობის ტაძარი ააგეს. მე აქ საკვირაო სკოლაში ბავშვებს სამეურნეო საქმეს ვასწავლი... მე მათ შევთავაზე მონაწილეობა მიეღოთ განადგურების პირას მისული ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციაში. მათ ლაითურ-ნარევაში 100 ჰექტარი ჩაის გავერანებული პლანტაცია შეიძინეს. უკვე ადღავდნით 30 ჰექტარი ფართობი.

ბირთიდან ეს იქნება ჩაის ბიომეურნეობა თავისი წარმოებით. გაშენდება სხვა კულტურებიც: პავლინა, დაფნა, სტეფანა... – რა მდგომარეობაა სხვა სოფლებში, რა არის თქვენთვის ეს ჩაის კულტურა? – ჩემი მონაწილეობით უკვე ადღა 200 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. აქედან – მაღალ ეწერში 25 ჰექტარი, ნავომარში 60 ჰექტარი... ჩაის კულტურა არის სოციალური პროექტი. მასში გული უნდა ჩაღო, რომ პარტი შეძლებს მიიღოს მე ბასევიან წასვლას არ ვაპირებ. ცოლ-შვილი გვერდით მიდგას. მე რომ მამა-პაპის ადგილი დავტოვო, უცხოეთში წავიდე და შემდეგ აქ ვნახო ჩემზე უფრო წარმატებული კაცი – გული გამისკდება. მე მომწონს ამერიკული და გერმანული განათლების სისტემა. თურქეთში იაფ სესხს იძლევიან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის. ჩვენთან ქვეყნის ბაზრის 80 პროცენტი თურქულ პროდუქციას უკავია. სახელმწიფოს მხარდაჭერა ლო-იალურია ეროვნული პროდუქტის მიმართ. ვის არ უნდა მიეცეს სესხი: ვინც არაკეთილსინდისიერად ითანამშროლობს ბანკებთან და გათვალისწინებულია მათი, ვინც კეთილსინდისიერად მოექცა პროექტს განვითარების საშუალება უნდა მიეცეთ. გაგიმელოთ, ვეროკამერმა დააფინანსა ჩემი წარმოების განვითარება. ეს 120-ათასიანი სესხი, რომელიც 4 წლის შემდეგ უკან უნდა დამბრუნებინა. მაგრამ კოვდ პანდემიისაგან გამოიმდინარე, ძნელია ზუსტი პროგნოზირება, რამდენად შევძლებდი ამას, ამიტომ მე სესხი უკან დავაბრუნე... – რა ადგილი უკავია მეწარმეებს სათვის ენერგეტიკას? – მორე დღეა, ჩვენ ერთად ვიმყოფებით „ახალქალაქ ჰესის“ მშენებლობის გასაცნობად. ეს აუცილებელია ქვეყნის სტაბილურობისა და სანდობისათვის. სტაბილური ინსტიტუტები კი ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს.

ანტირუსული მოპრაობა გური-აჭარაში XX საუკუნის 20-იან წლებში

რუსეთის 1917 წლის 17 თებერვლის რევოლუციამ, მეფის ტახტიდან გადადგომამ და დემოკრატიული პროცესების განვითარებამ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერებს დამოუკიდებლობის მოპოვების იმედი ჩაუსახა. ქართველმა თავადაზნაურებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს. სანდრო შანშიაშვილი მიესალმა რუსეთში რევოლუციის გამარჯვებას შემდეგი სიტყვებით: დღეს, შენ მხიარულობ თავისუფლებით, რომელიც მე ადრე მომიხპე. დღეს შენ ეძიებ შენის სამშობლოს სახელს და დიდებას, რომელიც მე მქონდა და მომიხპე. დღეს შენ იბრძვი და მბრძოლებს სამშობლოსთვის, რომელიც მეც მაქვს და დღეს შენ გეკუთვნის. მე მინდა ჩემი სამშობლო განთავისუფლდეს, რომ თავისუფალმა უფრო მხარი მოგცე, მეც მინდა თავისუფლად ვისუნთქო, რომ სიცოცხლე შემრჩეს და დაგეხმარო. მეც მინდა ჩემი რჯული და ენა მქონდეს, მიდა შენი ერის მსგავსად ჩემი ერიც ჩემს მამულში ხელმწიფებდეს, რომ ღირსეულმა ღირსეულად პატივი გცე. მაშ დამიბრუნე, რაც მე მეკუთვნის, დამიბრუნე თავისუფალმა თავისუფლება, დამიბრუნე მამულით ბედნიერება, მამულის ბედნიერება, დამიბრუნე საქართველო და მაშინ, მხოლოდ მაშინ უფრო გიწამებ.

1917 წლის 7 მარტს გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა მიმართვა ქართველი ერისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „გაფრთხილებთ ქართველებო! ამ საერთო გატაცების დროს, როდესაც აზრი-გონების ცივი მსჯავრი და ანალიზი ანთებული გრძნობის ალსა და პარპალში არ მოსჩანს, ჩვენი ეროვნული შეგნების უზუნაეს მოვალეობად ვთვლით მოგიწოდოთ და ვითხრათ: რუსეთში დღეს რომ ახალი მთავრობა დაამყარდა, ამისთანა და ამაზე უფრო რადიკალი და მემარცხენე მთავრობანი ყოფილან და არიან ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ ამ მთავრობებს არ დაუნდვიათ ჩვენსავით ქვეშევრდომი პატარა ერები. მაგალითები ჰკითხეთ ისტორიულ სინამდვილეს! რა ჩადინა ინგლისმა ირლანდიისა და ინდოეთის მიმართ. რა ჰქნა გერმანიამ პოლონეთის მიმართ. ამიტომაც რუსეთში ახალი მთავრობის გამეფება იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო ეროვნული უფლებით შეიმოსება და თავისუფლებას დაიბრუნებს. ისტორია არ გვაძლებს ამ ხრივ საბუთს, რომ ვენდოთ. საქართველოს აღდგენა, მისი ეროვნული თავისუფლება მთელი ქართველი ხალხის სიცოცხლის მიზანია“.

1916 წლის 2 აპრილს კავკასიის მეფისნაცვლის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქის ერობაში, გუბერნიის ერობის უფლებით შეიყვანეს ოზურგეთის მაზრა იმ მოტივით, რომ ოზურგეთის რაიონი თავისი სასოფლო სამეურნეო კულტურებით და სამეურნეო ინტერესებით ახლოს იდგა ბათუმთან. საქართველოს ერთიან გეოგრაფიულ სივრცეში, ერთმანეთის გვერდიგვერდ მოსახლდრე უძველეს კუთხეებს გურიას და აჭარას აერთიანებდა ერთიანი ისტორია, საერთო ეკონომიკა და კულტურა. მოგვიანებით, 1924 წლის 23

ივლისს ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის მცირე პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ოზურგეთის მაზრაში, კერძოდ ქორის ბუდეში აჭარლების ჩამოსახლების და მიწერის შესახებ [ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 34, ფ. 30]

1918 წლის 18 თებერვალს ქუთაისის გარნიზონის ოფიცერთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეღოთ მონაწილეობა, როგორც რუსეთის ისე თურქეთის აგრესიისგან ბათუმის დასაცავად. ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკებთან მოლაპარაკების საფუძველზე ბათუმში შეიქმნა სახიფათო მდგომარეობა. კრებამ ოფიცრებს მოუწოდა გაეწიათ ხელმძღვანელობა მებრძოლი რაზმებისთვის, რომლებიც იგზავნებოდა ბათუმის დასაცავად [ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 20, ფ. 170]

1918 წელს გურიასა და აჭარაში ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდა სამუსლიმანო საქართველოს განმანათავისუფლებელი კომიტეტის წევრები, რომლებიც პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ხშირად გადაადგილდებოდნენ ოზურგეთში, სადაც იმართებოდა საიდუმლო შეხვედრები ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმის შესადგენად. ახლახან პროფესორმა **თამაზ ფუტყარაძემ** ყურნალ „არხეიონში“ დაბეჭდა საინტერესო საარქივო დოკუმენტური მასალა ცნობილი ლოტბარის, ნესტორ ერქომაიშვილის შესახებ. 1905 წლიდან ნესტორ ერქომაიშვილი ანტონ კვაშალთან, პორფირე ჩხაიძესთან, სერაფიონ დათუნაიშვილთან, ილარიონ მენაბდესთან ერთად ჩართული იყო ანტირუსულ მოძრაობაში. ნასაკირალზე, აღინათოვ-ავარსკის წინააღმდეგ ბრძოლის გამო, მისი ოჯახი გააძეურეს. 1905 წელს ნესტორ ერქომაიშვილმა იარაღი აპყარა შვიდ „გოროდოვოის“. ესენი იყვნენ: რაჟდენ ჯიქია, კრაჟინკო, და სხვა. ნესტორ ერქომაიშვილს ბენია ჩხიკვიშვილთან, რაფიელ ჩხილაძესთან, ნოე ხომერიკთან და გიორგი ცინცაძესთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის „გურიის რესპუბლიკის“ ჩამოყალიბებაში. [თამაზ ფუტყარაძე „პოლიტკატორღელების საკავშირო საზოგადოების აჭარის განყოფილება (1925-1935წწ.)“ ყურნალი „არხეიონი“ XIX-XX თბ. 2020]

ნესტორ ერქომაიშვილისგან კლასობრივი მტრის სახე შექმნეს, რომელთაც მან ღირსეული პასუხი გასცა: „მე თავადაზნაურობიდან გვერდზე გამდგარი, თავადაზნაურობის პასიური ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა რიგებში დამდგარი, გურიელებს დაუწრქებდი და პატიებას შევთხოვდი“. [ასს. ფ. ი-191 ან. 1, ს. 6, ფ. 7]

1919 წელს ნესტორ ერქომაიშვილი მსახურობდა ქართველ მუსულმანთა ბატალიონში, სადაც განაგებდა ბატალიონის სამეურნეო საქმეებს. 1919 წელს მას დაუტოვებია მენშევიკების რიგები, გადასულა ბათუმში და დაუწყია ბრძოლა დენიკინელებისა და სედაი მილეეთელების წინააღმდეგ. ნესტორ ერქომაიშვილი 1924 წლის აჯაყებაშიც ღებულობდა მონაწილეობას. აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენ-

კელის მიერ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილი 1917-1918 წლებით დათარიღებული წერილები, რომლებიც შედგენილია ფრანგულ და გერმანულ ენებზე. საფურადღებოა საქართველოს მუსლიმთა განმანათავისუფლებელი კომიტეტის 1918 წლის 3 აგვისტოს წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ყადირ შერვაშიძე და სულეიმან დიასამიძე, წერილებისადმი ინტერესს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ იგი ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინარე პერიოდს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის წევრთა 1917-1919 წლების წერილების შინაარსი მიაჩნიათ საქართველ პატრიოტთა საბრძოლო სულისკვეთებაზე, მათ სულიერ სწრაფვაზე ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. ქართველ კაცში იმდენად ძლიერი იყო რუსეთის დესპოტურ, საოკუპაციო რეჟიმთან შეურთებლობის გრძნობა, რომ ზოგჯერ ქვეყნის განთავისუფლების ჟინით შეპყრობილი მამულიშვილნი, ნებსით თუ უნებლიედ უცხო ძალაზე ამყარდებდნენ იმედს.

ფრანგულენოვანი დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმანის გააზრებიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მართალია ევროპის სახელმწიფოები დაკავებული იყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხით, მაგრამ ზოგჯერ მათი და საქართველოს ინტერესები არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს, რადგან საქართველოს ძირითად, ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ექსპანსიიდან განთავისუფლება და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წლის აპრილ მისში საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების საკითხი იდგა და ამით ყველაზე მეტად დაინტერესებული იყვნენ ევროპული სახელმწიფოები, რადგან მათ უფლება ეძლეოდათ ჩარეულიყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხში.

1918 წლის 15 აპრილს საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის წევრები პეტრე სურგულაძე, ზია აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვები წერილით მიმართავენ ევროპის ქვეყნებს, რომელშიც წუხილს გამოთქამდნენ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების გამო და აღნიშნავენ, რომ ყარსი, არდაგანი და ბათუმი, რომელსაც რუსეთი და თურქეთი ინაწილებენ, ისტორიულად საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილებია.

1918 წლის 11 აგვისტოს ბერლინიდან აკაკი ჩხენკელის სახელზე გამოგზავნილი წერილში აღნიშნული იყო, რომ გერმანიის ხელისუფლებასა და რუსეთს შორის მოხდა შეთანხმება, რომ ორივე ქვეყანას ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა კავკასიის ფრონტზე საბრძოლველად ქართველი მოხალისეებისგან შექმნა რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ლეგიონი.

თურქეთი სიტყვით აღიარებდა საქართველოსადმი დახმარებას,

მაგრამ სინამდვილეში ცდილობდა რუსეთ-თურქეთის 1877 წლამდე არსებული საზღვრების გადახედვას, რაც ქართველი პატრიოტების აღშფოთებას იწვევდა. საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე აღნიშნავდა, რომ ქართველი მუსლიმი ინტელიგენცია სახალხო იდეალების ერთგული რჩება და განაგრძობს ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისთვის, ამ პერიოდში საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის ერთი ნაწილი განიცდიდა თურქული პამისლამისტური აგიტაციის გავლენას, მაგრამ რელიგიური ფანატიზმი არასოდეს მდგარა ზოგადად ქართველობაზე მაღლა [ასს. ფ. ი-87 ან. 2, ს. 2, ფ. 31]

ამ პერიოდში რუსეთს არ ეცალა საქართველოსთვის, იგი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ტრიუმფალური სვლით იყო დაკავებული და დროებით დათმო საქართველო.

უახლესი ისტორიის მკვლევარი ე.ვ. არხიპოვა სტატიაში „ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში“ მიაჩნია, რომ პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოთა ფიზიკური და ეკონომიკური სისუსტე ართმევდა მათ შესაძლებლობას რეალურად განეხორციელებინათ კავკასიაში თავიანთი ძალაუფლება“ [ე.ვ. არხიპოვა, 2016: 216-224]

ბრიტანეთის ხელისუფლება რეალურად მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინათ თავისი ძალაუფლება აჭარაში. დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით განებივრებული სომხეთი ტერიტორიულ პრეტენზიას აცხადებდა ახალციხე, ახალქალაქსა და ბათუმზე. შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, ბრიტანეთის ხელისუფლება იძულებული იყო ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით მიეღო სხვადასხვა გადაწყვეტილება

უახლესი ისტორიის მკვლევარი ა.ა. მანუხინი სტატიაში „რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და ამერიკის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და პროგრესული იდეები“ აღნიშნავს: მოლოდინი იყო იმისა, რომ 1917 წელს დემოკრატიული რუსეთი გარდაიქმნებოდა ძალად, რომელიც წარმოათავდა სამხედრო ქმედებებს [ა.ა მანუხინი, 2016: 163] მაგრამ სამწუხაროდ მოლოდინი მოლოდინად დარჩა და 1917 წლის 25 ოქტომბრის სამხედრო-რევოლუციური გადატრიალების შედეგად დემოკრატიული რუსეთი შეიცვალა დიქტატორულ რუსეთად.

ამ პერიოდში ევროპის სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ ერთ-ერთ საუკეთესო პროექტს შეადგენდა რუსეთიდან გამოყოფა და კავკასიის შეერთებული შტატების შექმნა, რაც ისტორიული მოვლენებიდან გამომდინარე, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო სამწუხაროდ ვერ განხორციელდა.

1917-1918 წწ. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე განიხილავდნენ გურიასა და აჭარაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. საქართველოს ეროვნული საბჭო აღნიშნულ რეგიონებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობის გამოცოცხლების მიზნით უწევდა


ფინანსურ დახმარებას. 1918 წლის 14 თებერვალს ალექსანდრე ჯაბადარის მიერ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ აუცილებელია ოსმალებთან ზავზე მოლაპარაკების პროცესს დასწრებოდნენ ქართველი დელეგატები. დელეგატების მიერ გაწეული ხარჯის დასაფარავად გაგზავნილი იქნა 3000 მანეთი. მეორე წერილში ალექსანდრე ჯაბადარი მიუთითებდა, რომ თუ ეს ფული არ იყო საკამარისი, ის მზად იყო დამატებით შემოეტანა თანხა. ალ.ჯაბადარი დაჟინებით მოითხოვდა ქართველი დელეგატების ოსმალეთში გაგზავნას, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის საფუძვლების მოსამზადებლად.

საქართველოს ეროვნული საბჭოს საფინანსო სექციის ხელმძღვანელის კოტე მესხის წერილის საფუძველზე, გურიას სამშობლოს დაცვის მიზნით გადაეგზავნა 5000 მანეთი. 1918 წლის 2 თებერვალს საამაჰმადიანო საქართველოს სექციის გამგეს რეჯებ ნიჟარაძეს წლიური ხარჯებისთვის წლიურად დაენიშნა 500 მანეთი. საქართველოს აღმასრულებელმა კომიტეტმა სოფელ წყავროკას სკოლის ასამენებლად სამშენებლო კომიტეტს გადასცა 900 მანეთი. საინტერესოა ქალაქ სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოების 1918 წლის 20 ივნისის წლიური კრების მიმართვა, რომელიც შეეხება იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას და იმ წვლილს, რომელიც გაიღო აღნიშნულმა საზოგადოებამ გურიასა და აჭარაში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სასარგებლოდ. მიმართვაში აღნიშნულია, რომ რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ ერთ-ერთ უმთავრეს და აუცილებელ საქმედ მიიჩნია ერთა განთავისუფლების საკითხი. რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხს გამოჰქონდათ დროშები, რომელზეც ეწერა „რუსეთის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა“. ამას მოჰყვა რევოლუციის აღრევა, აზვირთვება და ბოლშევიკური გამოსვლები. ამ უკანასკნელის ხელში რევოლუციამ დაკარგა თავისი დემოკრატიული ღირებულებები და გამოიწვია ამიერკავკასიის ერების გამოჯვანა. რუსეთი ამიერკავკასიის ჰყოფს და „ფეშქაშობს“ (ჩუქება) ოსმალეთის მთავრობას. სამარცხვინო ზავის საფუძველზე საქართველო სამუდამოდ ჩამოშორდა ისტორიულ ტაო-კლარჯეთს. სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ საქართველოში დამოუკიდებლობის გაძლერების მიზნით 1917 წელს, მოგებული თანხიდან გამოჰყო 500 მანეთი. ბათუმის ქართულ ეროვნულ საბჭოს, ბათუმში დატოვებული ქართველი მხედრების სასარგებლოდ გადაეცა 200 000 მანეთი, რომელიც დაურიგდა სხვადასხვა სამხედრო ნაწილის ოფიცრებს და ჯარისკაცებს. ამ პერიოდში, თურქეთში განვითარებული მოვლენების შედეგად დაიძაბა ურთიერთობა რუსეთთან დამეგობრებულ სომხებსა და ქართველ მუსულმანებს შორის.

(გაბრძოლა იმნება)

**მერაბ მებრძოლიშვილი
61600 ჯაგფილიმ**

რუსეთ-თურქეთის 1877-78 ომის ომი და ბრძოლა ბათუმისთვის



გაზრდილია. დასავლეთის „ალიონი“ №28,29

ბერლინის კონგრესი გაიხსნა 1878 წლის 1 (13) ივნისს, გერმანიის რაიხსკანცლერის ოტო ბისმარკის თავმჯდომარეობით. მასში მონაწილეობას ღებულობდა 6 დიდი სახელმწიფო-რუსეთი, გერმანია, ავსტრია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და თურქეთი. მოწვეულები იყვნენ საბერძნეთის, რუმინეთის, სერბიის, ჩერნოგორიის, სპარსეთისა და სომხური ეკლესიების წარმომადგენლები. რუსეთის მხრიდან დელეგაციას მეთაურობდა კანცლერი თავადი ა.მ. გორჩაკოვი (1798-1883 წწ.), მაგრამ დელეგაციის ნომინალური ხელმძღვანელი იყო გრაფი პა. შუვალოვი. 1878 წლის 1 (13) ივლისს ვეროპის დიდმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ბერლინის ტრაქტატით არის ცნობილი. მრავალ საკითხს შორის განხილული იქნა ბათუმის საკითხიც, რომლის გადაწყვეტაში დიდი როლი ითამაშა ბისმარკმა, რომელმაც ინგლისს მოთხოვა ბათუმის საკითხის თაობაზე თავისი პირობის შესრულება.

1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალი) კონსტანტინეპოლში რუსეთმა და თურქეთმა დადეს მშვიდობიანი შეთანხმება, რომლითაც კიდევ ერთხელ აღიარეს ბერლინის ტრაქტატის მიხედვით შეცვლილი სან-სტეფანოს ზავის ყველა პირობის შესრულების აუცილებლობა. შეთანხმდნენ იმ თანხაზეც, რომელიც თურქეთს უნდა გადაეხადებინათ რუსეთისათვის - 26 მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი ფრანკი.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი და მისი მხარე შემოუერთდა რუსეთს, მაგრამ გავიდა თვენახევარი და თურქები არ ჩქარობდნენ ბათუმის და ციხისძირის სიმაგრის დატოვებას. ბათუმის თურქული ჯარების უფროსის დერვიშ-ფაშას და გენერალ ოკლობოჟიოს მოლაპარაკებამ ნაყოფი არ გამოიღო. ბათუმის სწრაფად დატოვების მოთხოვნით დერვიშ-ფაშასთან ფოთიდან გაიგზავნა სამხედრო ხომალდი სამი ემისრის თანხლებით. დერვიშ-

ფაშამ განაცხადა, რომ აგვისტოს ბოლოსათვის დატოვებდა ბათუმს. 12 აგვისტოს ქუთაისში გაიმართა სამხედრო თათბირი, კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწის გენერალ-ლეიტენანტ თავად დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლ-მირსკის თავმჯდომარეობით, რომელშიც მონაწილეობდნენ კავკასიის მეფისნაცვლის სალაშქრო კანცელარიის უფროსი გენერალ-მაიორი ტრუბეცკოვი, პოლკოვნიკი თავადი გრიგოლ გურიელი და ბათუმში რუსეთის ყოფილი ვიცე-კონსული ვიუდიჩი. თურქეთის მხრიდან მოწვეულნი იყვნენ გენერალი ნეაფაშა, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ალი-ბეი, სულეიმან-ბეი და თურქული დიპლომატიური კორპუსის სხვა ჩინოვნიკები.

სამხედრო თათბირზე განიხილეს ბათუმის მხარის მიღებისა და ჩაბარების განრიგი. 15 აგვისტოს კომისიამ მუშაობა დაამთავრა და გენერალი დ.ი. სვიატოპოლ-მირსკი ქუთაისიდან ოზურგეთში გადავიდა. რუსეთისა და თურქეთის წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი ოქმი 6 მუხლისაგან შედგებოდა. თურქეთი ვალდებული იქნა იღებდა, გაეყვანა თავისი ჯარი 25 აგვისტოს. რუსეთს გემის მიხედვით უნდა დაეკავებინათ ჩუქურ-სუ (ქობულეთი), სამება და კვირიკე-17 აგვისტოს, ციხისძირი-21 აგვისტოს, ჩაქვი 24 აგვისტოს, ბათუმისა და მისი ოლქიდან თურქების ევაკუაცია და და ამ ადგილების რუსების მიერ დაკავება უნდა დამთავრებულიყო 25 აგვისტოდან 1 სექტემბერს.

ბათუმის მიმართულებით რუსის ჯარი დაიძრა სამი მხრიდან-ოზურგეთიდან, ართვინიდან და ახალციხიდან. ოზურგეთის მხრიდან მიმავალ ჯარს მიუძღვებოდა გენ. დ.ი. სვიატოპოლსკი მირსკი და პოლკოვნიკი გრიგოლ გურიელი. აქ იყო გურული დრუჟინის კოლონა. ართვინის მხრიდან მოდიოდა გენერალი კ.ბ. კომაროვი, ხოლო ახალციხიდან გენერალ ტრეტიტერის რაზმი, რომელსაც გვერდში ედგა

ზემო აჭარის ბეგი შერიფ ხიმშიაშვილი.

18 აგვისტოს არტანის რაზმის უფროსს კ.ბ. კომაროვს ეახლა ბათუმელი ჰუსეინ აბაშიძე, რომელმაც იმპერატორ ალექსანდრე II-სათვის გადასცა აჭარის ბეგების მიერ შედგენილი ადრესი: სადაც რუსეთის მეფისადმი ერთგულებას გამოხატავდნენ. ხელს აწერდნენ-ჰუსეინ-ბეგ ბათუმელი, სანჯაყ-ბეგ ზადე აბაშიძე, ალიბეგ-სული-ბეგ ზადემაჭახელი, სულეიმან-ბეგ ემინ-ბეგ-ზადე, ალი-აღა-ბიმ-ბაშ-ზადე, არიფ-აღა-მუსტაფა-აღა-ზადე, ქურჩუქ-აღა ზადე, ჰუსეინ-ბეგ აზაბაღასი, ასლან-ბეგ ალი-ბეგ ზადე, მემედ-აღა-სანი-ბეგ-ზადე, ქიბირ-აღა თოფჩი-ოღლი, ახმედ-ფეჟენდი ჰაჯი-მემედ-ფეჟენდი ზადე, უსუფ ევვბდი ალი ეფენდი ზადე, იბრაჰიმ-აღა, მუსტაფა-აღა-ზადე, ოსმან-აღა იელქენჯ-ზადე, ხასან-აღა მირალი-ბეგ-ზადე (ლივანელი), სანჯაყდარ-მედალ-აღა (ლივანელი), იბრაჰიმ-აღა რეჯებ აღა-ზადე, პეტროს პუჩინიანი-ართვინელი საპატიო მოქალაქე.

17 აგვისტოს თურქულმა ჯარებმა დატოვა ციხისძირი და გაემართნენ ბათუმისაკენ. 19 აგვისტოს რუსულმა ჯარებმა დაიკავეს ქობულეთი, 22 აგვისტოს ციხისძირი, იმავე დღეს, 22 აგვისტოს სვიატოპოლ-მირსკი ჩამოვიდა ჩურუქსუში (ქობულეთში) და მიიღო ქობულეთელი ბეგები და უხუცესები, რომლებიც მას წარუდგინეს ბათუმის მხარის ახლად-დანიშნულმა პოლკოვნიკმა, თავადმა გურიელმა. იმავე დღეს ჩამოვიდა ბათუმის მუშირი დერვიშ-ფაშა, რომელიც ითხოვდა ბათუმის ჩაბარების გადავადებას, რაზედაც რუსული მხარე კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა. 23 აგვისტოს რუსის ჯარი ბათუმისაკენ გაემართა ორ წყებად: ერთნი ზღვის სანაპიროთი, მეორენი-უღრანი ტყის გავლით. მახინჯაურთან ორივე კოლონა შეერთდა და დაბანაკდა 25 აგვისტოს დილაშდ. ამავე დღეს ბათუმისაკენ მოემართებოდა რუსული სამხედრო ხომალდები. 1878

წლის 25 აგვისტოს გაშლილი დროშებით და სიმღერით რუსის ჯარი მახინჯაურიდან გაემართა ბათუმისაკენ. რუსის ჯარის ბათუმის მისადგომებთან მათ შეეგება მუშირი დერვიშ-ფაშა, ამალით, რომელშიც შედიოდა ბათუმის ციხისმაგრის კომენდანტი მუსტაფა-ფაშა, ბათუმის გუბერნატორი მუსტაფა-რეღვი-ფაშა, ასმან-ფაშა და სხვა თურქი ჩინოსნები. შემდეგ მდ. ბარცხანასთან რუსებს ელოდა ქალაქის დეპუტაცია, საპატიო მოლები, ბეგები, და ყველაზე წინ ქრისტიანული სამღვდელთა სადღესასწაულოდ შემოსილები და ჯვრებით ხელში, ისმოდა ზარების გუგუნე წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესიიდან. გენერალი მირსკი ცხენიდან ჩამოხტა და წმინდა ჯვარს ემთხვია. გენერალი მირსკი ხანმოკლე ვიზიტად ეწვია მუშირ დერვიშ ფაშას მის სახლში და სწრაფადვე დაეწია აზიზიეს მოედანზე გამწვრივებულ ჯარს. მხედრობასთან ერთდროულად ბათუმის ყურეში შემოვიდა რუსის სამხედრო გემები. ნაშუადღევს ზუსტად 4 საათზე ბათუმის ციხესიმაგრეზე ჩამოიხსნა თურქეთის დროშა და მის ნაცვლად რუსული დროშა აფრიალდა სასალუტო ბათქა-ბუთქით. რუსის ჯარმა ჩაიბარა თურქების მიერ დაკავებული პოსტები.

28 აგვისტოს კახაბრის მხრიდან ბათუმს მოუახლოვდა გენერალ-მაიორის კ.ბ. კომაროვის კოლონა, რომელიც ართვინიდან მოდიოდა. ართვინი კი ბერლინის ტრაქტატის ძალით შეუერთდა რუსეთის სამფლობელოს, სადაც გენერალი კომაროვი 20 აგვისტოს შევიდა. კომაროვმა ართვინის მხარის უფროსად გ. მეფისოვი (მეფისა-შვილი) დანიშნა.

1878 წლის 30 აგვისტოს ბათუმი ყოველი მხრიდან განთავისუფლებული იყო თურქული ჯარისაგან და იგი მთლიანად რუსეთის ძალაუფლებას დაემორჩილა.

1878 წლის 20 სექტემბერს ლაზისტანის სანჯაყის ნაწილისაგან, რომელიც ჩამოერთვა თურქეთს, ჩამოყალიბდა ბათუმის ოკრუგი, რომელსაც განაგებდა სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი კონსტანტინე კომაროვი. აღნიშნულ ოკრუგში გაერთიანდა „თურქეთის გურიაც“, -ტერიტორია მდინარე ჩოლოქსა და კინტრიშს შორის (ქობულეთი), აჭარა არდაგანის ოკრუგთან ერთად.

რუსეთმა ოსმალეთისა და სპარსეთის რამდენჯერმე დამარცხების შემდეგ 1878 წელს დაამთავრა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის შემოერთება, საბოლოოდ კი მთელი სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის დაპყრობით დაასრულა.

1806-1812 წლების ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ ბუქარესტის ზავით (1812) ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო სოხუმი, ყულევი, შეკვეთილი. 1829-30 წლების ომში რუსეთმა მარცხი

იწვინა და ანრიპოლის ზავით (1829) რუსეთმა მიიღო ფოთი, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი, ჭიჭარაქი (სამცხე-საათაბაგოს-ჩილდირის ვილაიეთის ნაწილი). 1877-1878 წლების ომის შემდეგ სან-სტეფანოს ზავით (1878წ.) და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით (1878) ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო ქობულეთი, ციხისძირი, ბათუმი, ხულო, გონიო, ართვინი, შავშეთი, კლარჯეთი, არტანუჯი, კოლა, არტანი, ოლთისი. ქალაქი ბათუმი პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა. ოსმალეთის ხელში რჩებოდა ოლთისის ხეობის ზემო წელი, თორთომი, სპერი, პარხალი, ლივანას ნაწილი, ჭანეთის ძირითადი ნაწილი. ამ ტერიტორიაზე რუსეთს პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ ოსმალეთმა შეძლო მისი შენარჩუნება, სპარსელებმა დატოვა კახეთის სამეფოდან მიტაცებული კაკ-ენისელი. ამრიგად, 1878 წელს დამთავრდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში თავმოყრის პროცესი. მაგრამ ამავე დროს მთელი XIX საუკუნის განმავლობაში შეგნებულად აუარესებდა დემოგრაფიულ სიტუაციას. სამცხე-ჯავახეთში, აფხაზეთსა და შიდა ქართლში. ახალციხის და ახალქალაქის რაიონის სოფლებში სომხები (30 000) დაასახლა, 1830 წლიდან დაიწყო რუსი სექტანტების (დუხობორების, სტაროვერების, მალაქნების, სუბოტნიკების, სკოპების და სხვა.) ჩამოსახლება (6000), შემდეგ გერმანელებისა (თბილისში, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში), ბერძნების (თეთრიწყაროსა და წალკაში). XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგისათვის შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჩამოსახლებული იქნა სომხები, ბერძნები, რუსები, ესტონელები, ე.წ. ცხინვალის რეგიონში ოსები.

ქართველები განათლებას ღებულობდნენ რუსეთის უნივერსიტეტებსა და სამხედრო სასწავლებლებში. მისი მიზანი იყო რუსული მოქალაქეობის ჩამოყალიბება და ქართველების საბოლოოდ გარუსება. მაგრამ წასული ახალგაზრდები ყველა თერგდალული არ დაბრუნებულა. უმრავლესობა დაბრუნდა რა სამშობლოში, შემდეგ საერთოდ არ ჩაბმულა ეროვნულ მოძრაობაში და ერთგულად ემსახურებოდა იმპერიას.

აღნიშნული პოლიტიკით რუსეთის იმპერია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა სამუდამოდ გამქრალიყო ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერება, ერთიანი საქართველო საუკუნეების მიღმა დარჩენილ მოგონებად ქცეულიყო. (ვ. გურული)

ლევან კნელიანი
ანანას ლომაძე

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა დამოუკიდებლობის აღდგენის წინა ხანებში 1918 წლის 14-25 მაისი

გაბრემლვა. დასაწყისი „ალიონი“ №20-28

საქართველოს ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი მთელი დატვირთვით მუშაობდნენ. თბილისში ფრეილინის (დღევანდელი სულხან-საბას) ქუჩაზე საქართველოს ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში დიდი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. ახლოვებოდა საქართველოს ახალი ისტორიის ყველაზე დიდი მოვლენა...

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მზადების პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პოზიციას. 1918 წლის 24 მაისს შედგა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც მოხსენებით „ბათუმის საზავო მოლაპარაკების შესახებ“ გამოვიდა **ნოე ჟორდანიას** მოხსენებელმა დაახასიათა შექმნილი სიტუაცია და აღნიშნა, რომ ოსმალეთში ამიერკავკასიასთან ზავზე სამი შეხვედრულა არსებობს: 1. ზავის დადება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, 2. თურქეთისათვის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მინიჭებული ტერიტორიის გაფართოება, 3. მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა. ნოე ჟორდანიას მოხსენებიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი მთლიანად ეთანხმებოდა აკაკი ჩხენკელის შეხვედრებებს და, თავის მხრივ, ცდილობდა დაერწმუნებინა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იმაში, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს არავითარი პერსპექტივა აღარ ჰქონდა. ამიერკავკასია აქვრად უკანასკნელ დღეებს ითვლის“. ნოე ჟორდანიას ამ დასკვნას კამათი არ გამოუწვევია.

ბათუმის მოლაპარაკებაზე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. თურქეთი სულ უფრო მეტად ეურჩებოდა თავის მოკავშირეს - გერმანიას. 1918 წლის 25 მაისს გენერალმა ოტტო ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს, რომ იგი უარს ამბობს ოსმალეთ-ამიერკავკასიის მოლაპარაკებაში შუამავლის როლის შესრულებაზე.


1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელის მიერ ბათუმიდან გამოგზავნილი წერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. 25 მაისისათვის დაინიშნა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხვადასხვა მიზეზის გამო სხდომის დაწყება დაგვიანდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაიწყო 1918 წლის 25 მაისს 11 საათზე თბილისში, ფრეილინის ქუჩაზე მდებარე ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას მისი წევრების გარდა გამოჩენილი მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. კერძოდ, სხდომას დაესწრნენ: **ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო**

ჯიბლაძე, შალვა მესხიშვილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დავით ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ეგენი გვეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია. თავმჯდომარეობდა **ნოე ჟორდანია**, მდივნობდა **დავით ნახუცრიშვილი.**

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა იმით დაიწყო, რომ ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო 23 მაისს ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გადმოგზავნილი წერილი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ 25 მაისს ღამის 10 საათზე უნდა შეკრებულყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც, როგორც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გამოაცხადებდა დაშლილად, ხოლო თვითონ მოიხსნიდა უფლებამოსილებას. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულ საბჭოს უნდა გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. როგორც ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, სეიმის სხდომა არ შედგა იმიტომ, რომ მუსავატელთა და დაშნათა ფრაქციებმა უარი განაცხადეს სეიმის სხდომაში მონაწილეობაზე. აზერბაიჯანელებმა განაცხადეს, რომ მათ საქითხი ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლის შესახებ ჯერ არ განუხილავთ და აზრი არ შეუქმნავენ, თუმცა წინააღმდეგნი არ არიან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. სომხებმა სეიმის სხდომის მეორე დღისათვის გადადების მოთხოვნა იმით დასაბუთეს, რომ შესაძლებელი ჰქონდათ განცხადება. ნოე ჟორდანიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართველებს სურვილი ჰქონდათ სომხებთან და აზერბაიჯანელებთან თანხმობით ემოქმედათ, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ეს არ მოხერხდა: ამიერკავკასიის სეიმის სხდომა 25 მაისს აღარ შედგება, ამიტომ ქართველებმა ცალკე უნდა განიხილონ საქითხი. ნოე ჟორდანიამ აღმასკომის წევრებს აცნობა, რომ 26 მაისს 12 საათზე შედგებოდა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, სეიმის სხდომის შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ნოე ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ გაიმართა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადება სასწრაფოა, დაუყოვნებლივ იმავე დღეს - 25 მაისს გამოეცხადებინათ აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ნოე ჟორდანიამ განმარტა: ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედ-



ერაციული რესპუბლიკის დაშლამდე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გაუკვევლობას შექმნის, რადგან იარსებებს ორი მთავრობა - ამიერკავკასიისა და საქართველოსი. გამოძინარე აქედან, ნოე ჟორდანია ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადებებს მეორე დღისათვის - 26 მაისისათვის. შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამიტომ კენჭისყრაზე დადგა საქითხი: „**საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ**“. 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა 6 კაცმა, 26 მაისს გამოცხადებას - 4 კაცმა. გადაწყდა, აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოცხადებულყო 25 მაისს. კენჭისყრის შემდეგ განცხადება გააკეთა ნოე ჟორდანიამ, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებლობას იხსნიდა მოსალოდნელ შედეგებზე.

1918 წლის 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა. კენჭისყრიდან სულ მცირე ხანში გაირკვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შეუქმნებელი არ იყო, რამაც თავისთავად გამოიწვია დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადება 26 მაისისათვის. ნოე რამიშვილის წინადადებით გადაწყდა: 26 მაისს დღით 10 საათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო 12 საათზე - საქართველოს ეროვნული საბჭო.

მას შემდეგ, რაც დადგინდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, ნოე ჟორდანიამ შეიტანა წინადადება, გარკვეულიყო ის საკითხები, რომელიც 26 მაისს უნდა განეხილათ და დაემტკიცებინათ: 1. რომელი კანონები იმოქმედებენ საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ;

- 2 საფინანსო სისტემა;
 - 3 რკინიგზა;
 - 4 ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია;
 - 5 მთავრობის ორგანიზაცია.
- ყველა ამ საკითხზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება:
1. დამოუკიდებელ საქართველოში იმოქმედებდა ყველა ის ძველი კანონი და ამიერკავკასიის სეიმის დადგენილება, რომლებიც მოქმედებდა ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკაში.
 2. ფულის ბეჭდვის წესი დროებით, საქართველოს საფინანსო სისტემის შექმნამდე, რჩებოდა ძველი. საქართველოს საფინანსო დაწესებულებებში, სანამ ფულის სისტემა იქნებოდა ძველი, თავიანთი წარმომადგენლები ეყოლებოდათ სომხეთსა და აზერბაიჯანს.
 3. რკინიგზის სამმართველო საქართველოს ხელში რჩებოდა. სომხეთთან და აზერბაიჯანთან სადაო საკითხები უნდა გარკვეულიყო მოლაპარაკებით.
 4. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უნდა გაუქმებულიყო, მის ნაცვლად ეროვნული საბჭოს კრება აირჩევიდა პრეზიდიუმს. ახლადარჩეულ სამხდატო კომისიას უნდა მოეხდინა ეროვნული საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა.
 5. საქართველოს მთავრობაში უნდა შექმნილიყო შემდეგი სამინისტროები:
 - ა) შინაგან საქმეთა
 - ბ) საგარეო
 - გ) სამხედრო
 - დ) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
 - ე) ანათლების
 - ვ) მიწათმოქმედების
 - ზ) იუსტიციის
 - თ) გზათა

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ შემდეგი პირები:

- ა) ნოე რამიშვილი - მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი.
- ბ) აკაკი ჩხენკელი - საგარეო საქმეთა მინისტრი.
- გ) გრიგოლ გიორგაძე - სამხედრო მინისტრი.
- დ) გიორგი ჟურული - ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.
- ე) გიორგი ლასხიშვილი - განათლების მინისტრი.
- ვ) ნოე ხომერიკი - მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი.
- ზ) შალვა მესხიშვილი - იუსტიციის მინისტრი.
- თ) ივანე ლორთქიფანიძე - გზათა მინისტრი.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ბოლოს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, რომელიც კომისიამ შეიმუშავა. აქტის ტექსტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები. გამოთქმული შენიშვნების მიხედვით დამოუკიდებლობის აქტის საბოლოო ტექსტის მომზადება დაეწავა ნოე ჟორდანიას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 25 მაისის სხდომა დამთავრდა ღამის თორმეტის ნახევარზე.

1918 წლის 25 მაისს თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ მოწოდებით მიმართა თბილისის მოქალაქეებს. მიმართვაში მოკლედ იყო დასასიათებული შექმნილი სამხედრო პოლიტიკური სიტუაცია, მინიშნებული იყო იმ დიდ საფრთხეზე, რომელიც საქართველოს და თბილისს ემუქრებოდა ოსმალეთის მხრიდან. საქალაქო თვითმმართველობა მოუწოდებდა თბილისელებს მზად ყოფილიყვნენ მტრისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად. მეორე დღეს 26 მაისი თენდებოდა ...

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა
(ოფიციალური საოქმო ჩანაწერის მიხედვით)

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა კვირა, 26 მაისი, 1918 წელი, ქალაქი თბილისი, სასახლე **თავმჯდომარეობს** ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია**. პრეზიდიუმში არიან: **გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე**. მდივნად არის ეროვნულ საბჭოს მდივანი **ილია ზურაბიშვილი**. კრება ნაშუადღევს 4 საათსა და 40 წუთზე იწყება.

(გაბრემლვა იქნება)
პასტანოვ გურული
საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებამლი სახელმწიფო, (1918)გვ. 155-159)

„გურიის დედოფალი“ ოზურგეთის სცენაზე



ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრმა გოჩა კაპანაძის სპექტაკლის „გურიის უკანასკნელი დედოფალი“, რომელიც სოფიო წულუკიძე-გურიელს ეძღვნება, დაზურგეთის ჩვენება გაიმართა. პანდემიის გამო სპექტაკლს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა. დოკუმენტური დრამის ავტორი თამარ პაპავაა. გამოყენებულია ქველი ჩხატარაიშვილის ნაშრომი „გურიის სამთავროს“ შესახებ.

სპექტაკლის რეჟისორი და ინსცენირების ავტორია, მუსიკალური გამგომრებელი სახელმწიფო, კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის პრემიის ლაურეატი გოჩა კაპანაძე.

სცენოგრაფია: ლომგულ მურუსიზე, ქეთი ციციშვილი.
როლებს ასრულებენ:
დედოფალი სოფიო — **თამარ მდინარაძე**; მღვდელი — **ზაზა ჯინჭარაძე**; როლადი — **ბელა კიკვაძე**; თავადი ვახტანგი, კულიაპკა — **ირაკლი ვადაჭკორია**; ბებუთოვი — **გიორგი დოლიაძე**; მაცულაძე — **ლევან სალინაძე**; ხომრეანი — **შორენა გვეტაძე**; თავადი დადიანი — **დავით კვერელიძე**; ახმედ ბეგი — **ვახტანგ ჩხარტიშვილი**; მამა — **ზვიად ჯორბენაძე**; ოფიცერი I — **ნიკა ძნელაძე**; ოფიცერი II — **გიორგი ჩავლეშვილი**; აფაქი, ციცი — **ციცი ბუცხრიკიძე**, ზეინაბი — **მარიკა ასათიანი**, თეა კეჭყაშიძე.

ეს იყო ჰეროიკული დადგმა ოზურგეთის თეატრის სინამდვილეში. რეჟისორმა საუკეთესო მხატვრობით, გემოვნებით შერჩეული მუსიკის და განახლებული თეატრის ტექნიკური საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით წარსულის სამყაროში შეიყვანა მაყურებელი.

დაზურგეთის ჩვენების შემდეგ დადგმის რეჟისორს გოჩა კაპანაძეს ვესაუბრეთ:

— ეს არის ისტორია ქალისა, რომელიც შეუპოვრად ებრძოდა მომხდურს; ქალისა, რომელმაც დაიცვა თავისი და პატარა სამთავროს ღირსება, დატოვა ღირსეული ისტორია, რომლის შესახებც დღეს მხოლოდ ისტორიის სპეციალისტებმა იციან, მაგრამ ფართო მასშტაბის ცნობილი არ არის. საქართველოს ჰყავდა ძალიან დიდი ქალბატონები, რომლებმაც თავისი ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს ისტორიაში. სოფიო წულუკიძე-გურიელისა ერთ-ერთი ამთავანია არის. იგი იცავდა თავის მიწას, ქართველობას, იმ მემკვიდრეობითობას, კანონმორჩილებას, რომელსაც ყველა მომხდური თუ წამხდური მტერიც კი უნდა იცავდეს. ის ამბობს: „თუ სახელმწიფო არ დგას კანონზე, თუ ვიღაც არ იცავს ამას, მაშინ რაღაც ირღვევა.“

ამ ისტორიას თავისი შემეცნებითი დანიშნულება აქვს, რადგან ეს არ არის მარტო იმ ეპოქის მიმოხილვა. ძალიან ბევრი ფაქტები, რომლებმაც აქ გაიფიქრეს, არის დოკუმენტურ მასალებზე დამყარებული და ვფიქრობ, შესაძლოა მეტი ყოფილიყო, მაგრამ არ მოხერხდა.

ჩვენ კითხვაზე, ამ სპექტაკლის მხატვრობის, განახლებული თეატრის ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ გოჩა კაპანაძემ გვიპასუხა: — თეატრი ეფექტების გარეშე არ არსებობს. საინტერესო მხატვრობა — ეს არის დანერგული სამყარო, დანერგული საყდარი და დანერგული

კერა. ბოლოში კი ეს ყველაფერი ერთდება და ადამიანები ლოცვისაკენ, განწმენდისაკენ, კათარზისთვის თხოვენ ღვისმშობელს რომ ქვეყანა შეკრად და დაიცვას.

მთლიანობაში, ის დიდი ზარი, რომელიც გახლეჩილია, ფინალში იქცევა დიდ სამყაროდ. აქ ხდება სპექტაკლის გმირების კონცენტრირება და ისინი ლოცულობენ არა მარტო თავისი ქვეყნისათვის, არამედ მთელი სამყაროსათვის. — თქვა მან.

გოჩა კაპანაძემ მადლობა გადაუხადა ისტორიკოსს მანანა ლომაძეს დახმარებისათვის.



ფილმი, რომელიც ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას ეძღვნება...



და ჩვენის არ იყოს, არც თქვენ გქონებინ წასაღები რაცხა, ჰოდა, ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა ვიფიქრეთ — რაიც იციან, თქვენი არ იყოსთქვა, ვობია, იგი წვიღონ და დეიმშვენიერ ქორწილში ხელი თქვა. აი სიმღერა ახალია და გვიჩუქნია თქვენდა“ (დანარჩენს ფილმში ნახავთ)...

ამ საინტერესო ფილმში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები იმელა კახიანი, პაატა მოისწრაფიშვილი, ტრისტან სალარიძე და სხვები.

ფილმში ასევე მონაწილეობენ გიორგი დონაძე და ანსამბლ „ბასიანის“ რამდენიმე წევრი; ანზორ ერქომაიშვილის სიყრმის მეგობარი, ცნობილი ლოტბარი ტრისტან სინარულიძე და მისი ტრიო „შალვა ჩემოს“ წევრები: **ლევან ნინიძე, მერაბ კალანდაძე, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ სურგულაძე;**

ფილმში მონაწილეობენ ძმები **გოჩა, ზურაბ, ჯიმშერ ჩხაიძეები.**

ამჟამად გადაღებები თბილისში, კოჯორსა და ცნობილ ეთნოგრაფიულ მუზეუმში მიმდინარეობს. ავთანდილ სურგულაძის თქმით, გადაღებები სავარაუდოდ ერთ თვეში დასრულდება მაყურებელი მალე იხილავს ამ ფილმს.

ფილმი, რომელიც ანზორ ერქომაიშვილს ეძღვნება, მალე გამოვა ეკრანზე. ფილმის რეჟისორებია **ელდარ შენგელაია** და ამირან დოლიძე. ფილმის ისტორია ანზორ ერქომაიშვილის წიგნში „ბაბუა“ აღწერილი ერთ-ერთ ეპიზოდზეა აგებული.

მოკლე სიუჟეტი: მოხუცები, ვინაიდან საჩუქარი არ აქვთ, გადაწყვეტენ მეზობლის ქორწილში სპირიდონას გუნდიდან მოპარული სიმღერა წაიღონ, რომელსაც შემდეგ დააბრუნებენ, რასაც ეწინააღმდეგება მამა პავლე. თუმცა შემდგომ იგი სიმღერით დააფიცებს

და ჩვენის არ იყოს, არც თქვენ გქონებინ წასაღები რაცხა, ჰოდა, ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა ვიფიქრეთ — რაიც იციან, თქვენი არ იყოსთქვა, ვობია, იგი წვიღონ და დეიმშვენიერ ქორწილში ხელი თქვა. აი სიმღერა ახალია და გვიჩუქნია თქვენდა“ (დანარჩენს ფილმში ნახავთ)...

ამ საინტერესო ფილმში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები იმელა კახიანი, პაატა მოისწრაფიშვილი, ტრისტან სალარიძე და სხვები.

ფილმში ასევე მონაწილეობენ გიორგი დონაძე და ანსამბლ „ბასიანის“ რამდენიმე წევრი; ანზორ ერქომაიშვილის სიყრმის მეგობარი, ცნობილი ლოტბარი ტრისტან სინარულიძე და მისი ტრიო „შალვა ჩემოს“ წევრები: **ლევან ნინიძე, მერაბ კალანდაძე, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ სურგულაძე;**

ფილმში მონაწილეობენ ძმები **გოჩა, ზურაბ, ჯიმშერ ჩხაიძეები.**

ამჟამად გადაღებები თბილისში, კოჯორსა და ცნობილ ეთნოგრაფიულ მუზეუმში მიმდინარეობს. ავთანდილ სურგულაძის თქმით, გადაღებები სავარაუდოდ ერთ თვეში დასრულდება მაყურებელი მალე იხილავს ამ ფილმს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია უშიშროების კურსებს დააჯილდოებს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი უშიშროების კურსებს დააჯილდოებს, რომლებმაც 100%-იანი გრანტი მოიპოვეს. თითოეულს 3000 ლარს გადასცემს, მათ აღმზრდელ სკოლებს კი 1000-1000 ლარით დაასაჩუქრებს.

100%-იანი გრანტი და მუნიციპალიტეტის ფულადი ჯილდოები ერგებათ: - **ლილა ლიპარტელიანი**, სოფელ ასკანის საჯარო სკოლა; - **ქეთი ლომაძე**, ქალაქ

ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა; - **მარიამ ბარამიძეს**, ქალაქ ოზურგეთის № 2 საჯარო სკოლა; - **გიორგი გორგაძეს**, ქალაქ ოზურგეთის № 2 საჯარო სკოლა; - **მარიამ ჩავლეშვილს**, ქალაქ ოზურგეთის № 2 საჯარო სკოლა; - **მარიამ ჩხაიძეს**, ქალაქ ოზურგეთის № 3 საჯარო სკოლა; - **ანი რუსიევილს**, სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლა.



ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლ „გურიასთან“ არსებულ სტუდ-იებში ცხადდება მოსწავლეთა მიღება.

ჩვენი ფილიალები, სადაც პედაგოგები სახელმწიფო ანსამბლ „გურიას“ მოცეკვავეები არიან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: **ასკანაში, ცხემლისხილში, დვახუში, შრომასა და გურიანთაში** ფუნქციონირებს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ **მობრძანდეთ:**

ქ. ოზურგეთი; გრიბოედოვის ქ. №20
ან დაგვიკავშირდით: 579 77 41 41

7 დღის ამინდის პროგნოზი

გზი, ღრუბელი +17+23	გზი, ღრუბელი +18+22	ღრუბელი +17+21	ღრუბელი +15+18	წვიმა +12+16	გზი +14+19	გზი, ღრუბელი +13+16
13 სექტემბერი ორშაბათი	14 სექტემბერი სამშაბათი	15 სექტემბერი ოთხშაბათი	16 სექტემბერი ხუთშაბათი	17 სექტემბერი პარასკევი	18 სექტემბერი შაბათი	19 სექტემბერი კვირა